ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულების კრიმინალიზების გადახედვა შორეული ზიანის დოქტრინის კონტექსტში

მამუკა სურამელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გეგელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება მუდმივად ცვლის არსებულ რეალობას და აყალიბებს ისეთ გარემოებას, რომელიც სულ უფრო ხშირად სცდება კლასიკური სისხლის სამართლის ჩარჩოებს და საჭიროებს იმ თეორიული მოდელების გადახედვას, რომლებიც აქამდე განსაზღვრავდა კრიმინალიზაციის ლეგიტიმურობის საზღვრებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნური ინტელექტის როლი და შორეული ზიანის დოქტრინა, რომელიც რიგ შემთხვევებში საშუალებას იძლევა, სამართლებრივი ჩარევის საფუძველი გახდეს ისეთი ქმედებები, რომელთაც არ ახლავს მყისიერი, თვალსაჩინო ზიანი, მაგრამ შეიცავს გრძელვადიან და სისტემურ საფრთხეს საზოგადოებისთვის.

ნაშრომის მიზანია ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულების შემთხვევაში ქმედების კრიმინალიზების გადახედვა შორეული ზიანის კონცეფციის სიღრმისეული თეორიულ-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე.

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს თეორიულ ანალიზსა და ანალიტიკურ კვლევით მიდგომას. თეორიული ანალიზის ფარგლებში განხილულია შორეული ზიანის დოქტრინალური საფუძვლები, კრიმინალიზაციის სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია სისხლის სამართლის ფილოსოფიის ჭრილში. საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკა გაანალიზებულია და შედარებულია, აშშ-ს ინგლისისა და გერმანიის გამოცდილებასთან იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს პრევენციული კრიმინალიზაციის მიდგომა სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ ეს სამი ქვეყანა შეირჩა იმ მიზეზით, რომ ისინი წარმოადგენენ ორი განსხვავებული სამართლებრივი სისტემის – კონტინენტური ევროპისა (გერმანია) და ანგლო-ამერიკულის (ინგლისი) – ტიპურ მაგალითებს. მათი შედარება გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, როგორ განსხვავდება პრევენციული მიდგომების ლოგიკა და შედეგები ამ სისტემებში, რაც, თავის მხრივ, ეხმარება საქართველოს ყველაზე შესაფერისი მიდგომების შერჩევაში.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი დისკურსის ანალიზიც, რაც საშუალებას იძლევა, უფრო მკაფიოდ შეფასდეს შორეული ზიანის თეორიის ურთიერთმიმართება ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულების კრიმინალიზებისას და გადაიხედოს საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობა საკონსტიტუციო სტანდარტებთან.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ბავშვთა პორნოგრაფია, შორეული ზიანი, პრევენციული კრიმინალიზაცია, სისხლის სამართლის ფილოსოფია, ზიანის პრინციპები, სამართლებრივი ჩარევა, კრიმინალიზაციის ლეგიტიმაციის გადახედვა, ადამიანის უფლებები და ა.შ.

Abstract

The rapid development of modern technologies is constantly reshaping existing reality and creating circumstances that increasingly transcend the framework of classical criminal law. This evolution necessitates a re-evaluation of the theoretical models that have hitherto defined the boundaries of criminalization legitimacy. In this context, the role of Artificial Intelligence (AI) and the ,,Remote Harm" doctrine gains particular significance. In certain instances, this doctrine allows for legal intervention based on actions that do not cause immediate, visible harm but instead pose long-term and systemic threats to society.

The purpose of this thesis is to revisit the criminalization of AI – generated child pornography through an in-depth theoretical and legal study of the remote harm concept.

The study employs a mixed methodology, combining theoretical analysis with an analytical research approach. Within the framework of theoretical analysis, the doctrinal foundations of remote harm, criminalization standards and their interpretation in the context of the philosophy of criminal law are discussed. Georgian legal practice is analyzed and compared with the experiences of the USA, England and Germany to understand the mechanisms of preventive criminalization across various jurisdictions. These three countries were selected as typical representatives of two distinct legal systems: Continental European (Germany) and Anglo-American (England/USA). Their comparsion allows for a comprehensive understanding of how the logic and outcomes of preventive approaches differ across these systems, ultimately aiding in the selection of the most suitable models for Georgia.

Furthermore, the thesis incorporates an analysis of the practice of the Constitutional Court of Georgia and international legal discourse. This allows for a clearer assessment of the relationship between remote harm theory and the criminalization of AI – generated child pornography, while also evaluating the compliance of current Georgian criminal legislation with constitutional standards.

Keywords: Artificial Intelligence, Child pornography, Remote harm, Preventive criminalization, Philosophy of criminal law, Harm principles, Legal intervention, Re-evaluating the legitimacy of criminalization, Human rights